საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990104480871620

№02/79 **07 / დეკემბერი / 2020 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული N02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს N1 დანართის თანახმად.

2. დაევალოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52).

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		ზარანის ღვთისმშობლის შობის ეკლესია	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სოფელი ზარანი **GPS კოორდ.** X 42.00702 Y 43.23394	არქიტექტურის	XIX საუკუნე
2.		ჩრდილის ყრანჩის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩრდილი **GPS კოორდ.** X 41.96928 Y 43.39127	არქიტექტურის	XIX საუკუნე
3.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვანი **GPS კოორდ.** N 41^0 59' 14.56'' E 43^0 12' 34. 67''	არქიტექტურის / მონუმენტური სახვითი ხელოვნების	X საუკუნე XVI საუკუნე - კედლის მხატვრობა
4.		ბოჭისგორის საყდარი (კოპალა)	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლაფანყური	არქიტექტურის	XIV საუკუნე
5.		დევისხვრელის ბაზილიკა (ცაბაურთა)	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლაფანყური	არქიტექტურის	VIII-IX საუკუნეები

6.		ტორნისის ღვთისმშობლის ბაზილიკა	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლაფანყური	არქიტექტურის	VII- VIII საუკუნეები
7.		წმ. დოდო გარეჯელის სახელობის ეკლესია	ქ. საგარეჯო, დოდოს უბანი, ბარათაშვილისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე	არქიტექტურის	XVII საუკუნე
8.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სხვილისი	არქიტექტურის	1876 წელი
9.		წმ. ნინოს ქვა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩინთი	მემორიალური	შუა საუკუნეები